

**აზარტული თამაშების პრევალენტობის დინამიკის შესწავლა საქართველოს
2015 და 2022 წლის ზოგადი მოსახლეობის კვლევების მიხედვით**

ავტორი

ნინო თანდაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ადიქციის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ირმა კირთაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო თანდაშვილი

2023 წელი

აბსტრაქტი

შესავალი: აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მზარდ პრობლემას წარმოადგენს. ინტერნეტისა და თანამედროვე მოწყობილობების განვითარებამ კი ხელი შეუწყო აზარტულ თამაშებს, რომ საზოგადოებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი გამხდარიყო. აზარტული თამაშების რეკლამირება ხდება ქუჩის ბილბორდების, სატელევიზო, რადიო თუ სატელეფონო მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით. მსოფლიოში, მოზარდებში პრობლემური გემბლინგის გავრცელების მაჩვენებელი 1,6%-დან 5,6%-მდე მერყეობს. ჩრდილოეთ ამერიკაში უახლესი მონაცემების მიხედვით, პრობლემური გემბლინგის მაჩვენებელი მოზარდებში 2,1-2,6%, ხოლო ევროპაში 0,2-12,3% წარმოადგენს. საქართველოში კი 2015 წლის მონაცემებით რესპოდენტთა დაახლოებით 16%-ს გასული 12 თვის განმავლობაში აზარტულ თამაშებში მონაწილეობა მიღებული ქონდა, ხოლო 9%-ს ცხოვრების განმავლობაში ერთხელ მაინც უთამაშია. ყველაზე გავრცელებულ აზარტულ თამაშებს კი წარმოადგენდა ლატარიები და სპორტული/არა-სპორტული ონლაინ ფსონები.

კვლევის მიზანი: სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ზოგადი მოსახლეობის კვლევის მონაცემების მეორადი ანალიზის მეშვეობით საქართველოს ზოგად მოსახლეობაში 2015 და 2022 წლებში აზარტული თამაშების გავრცელების შედარება და ამ ქცევებთან ასოცირებული ფაქტორების შესწავლა.

კვლევის მეთოდი: აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულ იქნა მონაცემების მეორადი ანალიზი და ნაშრომში შედარდა ორ სხვადასხვა დროში ჩატარებული კვლევის შედეგები, კერძოდ კი 2015 და 2022 წლებში აზარტული თამაშების გავრცელების ტენდენციები და ცვლილებები. 2022 წელს სულ გამოიკითხა 4076 ადამიანი, სადაც 1998 (49%) იყო კაცი, ხოლო 2078 (51%) იყო ქალი. მონაცემების შესადარებლად მოხდა ორი ბაზის გაერთიანება, რომელიც დამუშავდა სოციალური მეცნიერებების სტატისტიკური პაკეტის SPSSv.26 პროგრამაში, სადაც გამოყენებულ იქნა t ტესტი რაოდენობრივი ცვლადებისთვის და

კატეგორიული ცვლადების შემთხვევაში - X² ტესტი. პირველი შეცდომის დაშვების ალბათობის დონედ მიჩნეულია $\alpha=0.05$

შედეგები: კვლევის შედეგების თანახმად, 2022 წელს უფრო მეტმა ადამიანმა აღნიშნა, რომ არ უთამაშია ბოლო 12 თვის განმავლობაში აზარტული თამაშები (87%; 3538) ვიდრე 2015 წელს (84%; 4031). ასევე 2022 წელს შემცირებულია იმ რესპოდენტთა წილი, რომელთაც უთამაშია ბოლო 12 თვის განმავლობაში (13%; 538) 2015 წელთან შედარებით (16%; 774). აღნიშნული განსხვავება წლებს შორის არის სტატისტიკურად სარწმუნოა $\chi^2(1, N=8881) = 15, p=0.000$.

ბოლო 30 დღის განმავლობაში აზარტული თამაშის პრევალენტობა ორივე წელს თითქმის ერთნაირია: 2015 წელს 9% (451)-მა აღნიშნა, რომ უთამაშია, ხოლო 2022 წელს 8% (327)-მა. წლებს შორის მცირედი განსხვავება სტატისტიკურად აღმოჩნდა სარწმუნოა $\chi^2(1, N=8881) = 5, p=0.024$.

დასკვნა: მოცემული სამაგისტრო ნაშრომის გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, აზარტული თამაშების დაწყების ასაკი საქართველოში ვერ კონტროლდება, აზარტული თამაშების დაწყების ასაკი არის ძალიან მცირე - 10 წ, როგორც 2015 ასევე 2022 წელს. საყურადღებოა, რომ პრობლემური გემბლინგის რიცხვი საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე საკმაოდ მაღალია.

საკვანძო სიტყვები: აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, გემბლინგი, ცვლილება, კანონპროექტი.

Abstract:

Introduction: Gambling addiction is a growing public health problem, and the development of the Internet and modern devices helped gambling to become easily accessible to the public. Gambling is advertised through street billboards, television, radio or telephone text messages. Worldwide, the prevalence of problem gambling among adolescents ranges from 1.6% to 5.6%. According to the most recent data in North America, the rate of problem gambling among adolescents is estimated to be 2.1-2.6%, while in Europe, it ranges from 0.2% to 12.3%. In Georgia, based on 2015 data, approximately 16% of the respondents had participated in gambling games in the past 12 months, and 9% had gambled at least once in their lifetime. The most common games of chance were lotteries and sports/non-sports online betting.

Aim of the study: The aim of the master's thesis is to compare the prevalence of gambling in the general population of Georgia in 2015 and 2022 and to study the factors associated with these behaviors through secondary analysis of general population survey data.

Study methods: Secondary analysis of the results of the general population survey was used in this paper. The study aimed to compare the trends and changes in the prevalence of gambling in 2015 and 2022 by examining the results of two different studies. In 2015, a total of 4,805 people were interviewed, considering of 2,116 (44%) males, and 2,678 (56%) females. In 2022, a total of 4076 people were interviewed with 1998 (49%) males and 2078 (51%) females. To compare the data, two data bases were combined and processed using the SPSS v.26 program. The t- test was used for quantitative variables and in the case of categorical variables, while the χ^2 - test was employed for categorical variables. The level of significance for the first error was set at $\alpha=0.05$.

Results: According to the survey results, in 2022, a higher percentage of people reported not playing (87%; 3,538) compared to 2015 (84%; 4,031). Additionally, in 2022, the proportion of respondents who had played in the last 12 months (13%; 538) decreased compared to 2015 (16%; 774). This mentioned difference between the two years is statistically significant, as indicated by $\chi^2(1, N=8881) = 15, p=0.000$. The prevalence of gambling in the past 30 days remained almost the same in both years: in 2015, 9% (451) reported having gambled, and in 2022, 8% (327). The

difference between the two years is also statistically significant, as indicated by $\chi^2(1, N=8881) = 5$, $p=0.024$.

Conclusion: Considering this master's thesis, we can assume that the age of starting gambling in Georgia cannot be controlled, the age of starting gambling is very young - 10 years, both in 2015 and 2022. It is noteworthy that the number of problem gambling is much higher than the European average.

Key words: gambling addiction, gambling, change, law.

მადლობა

მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორს ირმა კირთაძეს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის და რეკომენდაციებისთვის.

მადლობას ვუხდით კვლევით ორგანიზაცია ალტერნატივა ჯორჯიას ევროპის ზოგადი მოსახლეობის კვლევის (GPS) მკვლევარებს მონაცემების გაზიარებისთვის, რომელმაც შესაძლებლობა მომცა შემესწავლა და შემედარებინა მონაცემები. ასევე მადლობას ვუხდით კვლევის თითოეულ მონაწილეს.